საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა, კერძოდ: ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის (თანმდევი მომსახურება) შესყიდვის ელექტრონული ტენდერის, სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N 1

ქალაქი ფოთი ,,03" სექტემბერი 2019 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. მამუკა პაპასკირი - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე).
2. ვასილ თოდუა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).
3. ნანა ჭანტურია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის უფოსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).
4. ნიკოლოზ გრიგოლია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი);
5. კახაბერ მაშავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი (კომისიის წვრი).
6. მაია მაკალათია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (კომისიის წევრი).

კომისიის აპარატის წევრები:
1. მაია სულავა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);
2. ინგა გიგიბერია - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის წევრი);
3. მაია სიხარულიძე - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამსახურის შესყიდვების განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (აპარატის წევრი);

შენიშვნა: სატენდერო კომისიას არ ესწრებიან კომისიის თავმჯდომარის მოადგილე პაატა ლაგვილავა და კომისიის აპარატის წევრი თეონა გეთია.

დღის წესრიგი:
1. საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა, კერძოდ: ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის (თანმდევი მომსახურება) შესყიდვასთან დაკავშირებული სატენდერო დოკუმენტაციის დამტკიცების, ელექტრონული ტენდერის NAT გამოცხადების, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დამტკიცებისა და ბიჯის განსაზღვრის შესახებ.
2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო პირობების პროექტის (დანართი N 3-ით განსაზღვრული კითხვარი) განხილვა/დამტკიცება.

განხილვა:
ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვისა და ტრანსპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა კახაბერ მაშავამ წარმოადგინა საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა, კერძოდ: ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი (თანმდევი მომსახურება) შესყიდვის მიზნით შედგენილი ტექნიკური დავალება.

სატენდერო კომისიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად შედგენილი სატენდერო პირობების პროექტი (დანართი N 3-ით განსაზღვრული კითხვარი) და აღნიშნეს, რომ იგი შეესაბამება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის, 2017 წლის 14 ივნისის, N 12 ბრძანების „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მოთხოვნებს.

სატენდერო კომისიამ დაადგინა:

1. საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა, კერძოდ: ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის (თანმდევი მომსახურება) შესყიდვა განხორციელდეს ელექტრონული ტენდერის NAT საშუალებით.
2. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, შესყიდვის სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს 69320,00 ლარი, დღგ-ს გარეშე, ბიჯი განისაზღვროს 693,00 ლარის ოდენობით.
3. დამტკიცდეს საბავშვო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მოედნების მოწყობა, კერძოდ: ატრაქციონების შეძენა-მონტაჟის (თანმდევი მომსახურება) შესყიდვის მიზნით ელექტრონული ტენდერის NAT სისტემაში, ელექტრონულად შევსებული სატენდერო პირობების პროექტი.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა განახორციელოს ელექტრონული ტენდერის NAT საშუალებით შესყიდვასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარე: მამუკა პაპასკირი

კომისიის წევრები:

ვასილ თოდუა

ნანა ჭანტურია

კახაბერ მაშავა

ნიკოლოზ გრიგოლია

მაია მაკალათია

Poti City Municipality

Digitally signed by Poti City Municipality
Date: 2019.09.03 18:31:09 +04'00'

კომისიის აპარატის წევრები:

მაია სულავა

ინგა გიგიბერია

მაია სიხარულიძე